

რედაქცია: სლოლოჯი, ბლის ქუჩაზე, მ. შალინოვის სახლში, № 33.

ხელის-მღწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროга“.

გაზეთის ღირებულება: მთელი წლის — 8 მან., ნახევარ წლის — 5 მან., სამის თვის — 3 მან., ერთის თვისა — 1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროეპი

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

ზანი განცხადების... ებით ასოზე—1 კაპ., სტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კატეგორიული, 26 იანვარი. „პეტერბურლის უწყების“ სიტყვით, ამ დღეებში მინისტრების კომიტეტს ჰქონდა მოლაბარაკება კავკასიაში რკინის გზების გაყვანაზე. ბადაწყობის: ბაქო-თბილისის რკინი გზის კეთება უნდა დაიწყოს; უნდა გაკეთდეს რკინის გზის რტო შოთი-თბილისის რკინის გზიდან მთუამდინგზის მინისტრს მიეცა წინადადება, რომსტოვო-მლადიკავკასის რკინის გზა იმდენათ გაადიდოს, რომ იმაზე უფრო მომეტებული გადატან-გადმოტანის საშუალება იყოს; ამავე გზის მინისტრს მიენდო გამოიკვლიოს-თუ სად უფრო ადვილად შეიძლება რკინის გზის გაყვანა კავკასის მთაზე თბილისისა და მლადიკავკასს შუა ამის შემდეგ მინისტრმა უნდა იფიქროს შარსისა და ჯულფის გზის შეერთებაზე.

მენა, 26 იანვარი. „პოლიტიკურს ძორრესპონდენციაში“ იწერებინ სტამბოლიდამ, რომ მინისტრების კრებამ მიიღო საბოლოო მორიგების პირობა რუსეთსა და ოსმალეთს შუა და გადაწყვიტა, რომ როცა ორივე მხარე ხელს მოაწერს ამ პირობას, შემდეგ ხონტქარს წარუდგენს ხელ-მოსაწერად.

კატეგორიული ბირჟა, 26 იანვარი.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	95—62
მეორე —	94—75
მესამე —	94—75
მეოთხე —	94—87
აღმოსავლეთის პირ. —	92—50
აღმოსავლეთის მეორე —	92—50
მ.ქრო, 1/2 იმპერიალი —	8—64
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	—
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის —	231—
მეორე სესხის —	232—50
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი —	22—84 პენსი
ამსტერდამი —	115—25 ცენტი
ბერლინი —	194—25 შფენიგი
პარიზი —	240— სანტიმი
მსკასიის კერასინი —	2—10 —

საქართველო

როგორი ძალაქის თავი გვეჭირება?

ჩვენი რჩევის ორს უკანასკნელს სხლამაში და ხმოვანების კერძო კრებაზედ რამდენჯერმე ჩამოვარდა სჯა იმაზედ—

მაგრამ ვინ იქნება ეს თავი? როგორი თავი იქნება?—მს ჯერ კაცმა არ იცის; იქნება ისეთი ვინმე „გამოძერეს“, რომელსაც კაცი არ მოელოდა. იქნება ისეთი ვინმე გახდეს თავად, რომელიც თვითონ არ იფიქრებდა, არ მოელოდა ამას. ჩემი ოცნებითი მეგობარი მარწმუნებს, ისეთს კაცს ამორჩევენ წელს ძალაქის თავად, რომელიც ახლანდელი ხმოვანების მეთოდ ნაწილსაც არ დააკმაყოფილებს! სხრა მეთედი უკმაყოფილო დარჩება ამ არჩევანისა!

და ვინ დამარწმუნებს, რომ ეს შესაძლებელი არ იყოს? როდესაც საქმე ისე მიდის, როგორც ჩვენს ახალს რჩევაში, ყოველი ამ გვარი შემთხვევა მოსალოდნელია.

რატომო-მკითხავთ? იმიტომ რომ თითქმის ყველა ხმოვანებს, ცალ-ცალკე, თავის საკუთარი კანდიდატი ჰყავს, და ეს კანდიდატი არის: ან იმის ნათესავი, ან კარგი მეგობარი, ან კარგი ნაცნობი და სხვ. ჰველა თავის შიგნითი არშინით

თუ როგორი უნდა იყოს ძალაქის თავი და საკუთრივ ჩვენ როგორი თავი გვეჭირება ახლა.

მართნი ამბობდნენ, რომ ძალაქის თავს არ შეუძლიან ყველგან გაწვდეს ქალაქსაო, არ შეუძლიანო ბაზარსაც მიაქციოს ყურადღებაო, კანცელარიაშიც იმუშაოსო, უმალღეს მთავრობასთანაც დაიჭიროს საქმეო და სხვ. ძალაქის თავის მოვალეობა მხოლოდ ის არისო, უმალღეს მთავრობასთანაც დაიჭიროს საქმეო და სხვ. ძალაქის თავის მოვალეობა მხოლოდ ის არისო, რომ ქალაქის წარმომადგენელი იყოს მთავრობასთანო, შუამავალი იყოს რჩევასა და მთავრობას შორის.

მეორეები ამტკიცებდნენ, ძალაქის თავი უნდა იყოს პრაქტიკული, გამოცდილი კაცი, ბაზრის მცოდნე, ალბშიცემაში ესმოდეს რამეო. მთავრობასთან იმას ბევრი საქმე არ ექნებაო; კანცელარიისთვის ბამგეობის ერთი წეგრი კმარაო. ძალაქი უპატრონოთ არის, საშინელი ძვირობაა, — ამისთვის გვინდა ჩვენ ძალაქის თავიო.

ჩვენის აზრით, ერთიც და მეორეც შემცდარი არიან. ამისთანა ცალ-მხრივი თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, თავი არ უნდა იყოს იდეალი ძალაქის თავისა, არ უნდა იყოს განსაკუთრებით ახლა ჩვენთვის.

ძალაქს ეჭირება ახლა ისეთი თავი, რომელიც იყოს მცოდნე როგორც

ზომავს; ერთი ამბობს: „იავორ ივანის მიკირტუმი ჩემი ნათესავი კაცია, როგორ ჩაუგდო იმას თავი კენჭი!“ მეორე ამბობს: „ივან იავორის ძარაპეტოვი მეგობარი კაცია ჩემი! მეთრში ჩაუგდებ!“ მესამე ჰფიქრობს: „მიკირტუმი ძარაპეტოვი მთხოვა, ჩემი კარგი ნაცნობი კაცია! ხელი უნდა მოუშარო!“ და სხვ.

თითქმის ყველა ასე სჯის; არც ერთი არ ჰფიქრობს იმაზე—თუ ეს ივან იავორისი, იავორ ივანისი და ძარაპეტ მიკირტუმიჩი რამდენათ გამოსადგენი იქნებიან ძალაქისათვის, რამდენათ შეუძლიან იმათ იმ მძიმე თანამდებობის აღსრულება, რომელიც უნდა მიანდონ, როგორი ძალაქის თავი იქნებიან ისინი და სხვ.

ჩვენ არ ვიცით ჯერ ჩვენი საკუთარი თანაგრძნობისა და სიყვარულის დამორჩილება საზოგადო სარგებლობისათვის; არ ვიცით ჩვენი მეგობრობის და ნათესაობის დავიწყება საზოგადო საქმისათვის; ერთმანეთის ხელის-მომართვა, ძმუ-


ფელტონი

მასლაათი

ქიდეე ძალაქის თავის ამორჩევაზედ!— მინ იქნება თავად? ახალი რჩევის „პარტიები“. — ახლა გვეჭირება თავი და ბამგეობა. — თფილისი — წმინდა აზიური ქალაქია. — შამი და ტლაზი. — მალე მოგვეცით ქალაქის თავი! — შფ. ვ. მირზოვეი და ჩვენი ინტენდანტსტო. — მინ სტყუვის, ვინ მართალია?

დღეს კიდეე ძალაქის თავის ამორჩევა! ქიდეე კენჭის-ყრა, კიდეე სცენაზედ გამოსული თავ-და-პატიმყოყვარება!

ქიდეე ამას დღეს მაინც ბოლო, თუ არა? შექველია, დღეს, რითაც იქნება და როგორც იქნება, უნდა გათავდეს საქმე; თფილისის ქალაქის თავი დღეს, 28 იანვარს 1879 წელს, ამორჩეული უნდა იქნეს.



ბაზრისა და ეკონომიკის საქმისა, აგრეთვე შეეძლოს მთავრობასთან საქმის დაჭრა და ყველას წინაშე დაცვა ქალაქის ინტერესისა. ქალაქს ეჭირება ისეთი თავი, რომელსაც ყოველგან შეეძლოს გაუწვდეს: ბაზარშია, მთავრობასთანაც და კანცელარიაშიაც.

საჭიროა მარჯვე, მხნე კაცი, რომელსაც მუდამ და ყოველთვის ქალაქის კეთილდღეობა და სარგებლობა ჰქონდეს მხედველობაში.

ბაზარში ყურის საგდებელად ბაზარნიკები არიან; კანცელარიაში — ქალაქის სეკრეტარი და წევრი, ქუჩებშია მოედნებს თავის ზედამხედველი ჰყავს; მთავრობასთანაც მამგებობის ერთს რომელსამე წევრს შეუძლიან საქმის დაჭრა მაგრამ ყველა ამგვარს ზედამხედველი, ყველაფრის და ყველანაირად უმაღლესი ყურის-მგდებელი; განკარგულების და მიმართულების მიმცემი უნდა იყოს პირველი ქალაქისა, ე. წ. ქალაქის თავი.

ქალაქის თავი არის პატრონი ქალაქისა, მთელ ქალაქის მცხოვრებლებს მიუხედავად იმისთვის თითქმის თავის ბედს; ყველა იმას უესტარის; ყველაფერი უნდა იცოდეს იმან, ყველა საქმეში შეუძლიან გაეროოს და უნდა იცოდეს გაეროოს.

არც ბაზარია განსაკუთრებით იმის საქმე, არც ქალაქის მამგებობის კანცელარია, არც ქალაქის განათების საქმე, არც წყლის გაყვანა და არც სხვა რამე; იმის მოვალეობაა ქალაქის ყველა საქმეებს აღეწვას თვალ-ყური, ყველგან უშველოს ქალაქს, საცა შევლა და დამარება ეჭირება.

აი ამისთანა თავი გვეჭირება ჩვენ.

მაგრამ სად არის ამისთანა თავი? მოიძებნება, თუ მოეძებნით და თუ ჩვენი ქალაქის რჩევა მართა ქალაქის სარგებლობას იქონიებს მხედველობაში და არა სხვა კერძო ინტერესებს, ის დღეს სწორეთ ამისთანა თავს მისცემს ქალაქს.

ს. მ.

დღიური

* * * დღეს, კვირას, დილას 11 საათზე, ქალაქის რჩევის ახალი ხმოვანები მოწვეულნი არიან ახალი ქალაქის თავის ასარჩევად.

* * * ბაზეთს „ძვეკაში“ დაბეჭდილია შემდეგი განცხადება:

„ამისია, რომელიც დ. მ. ნამესტნიკის თანამდგომლობისაგან არის დანიშნული იმისთვის, რომ მიიღოს ყოველი დონის-ძიება ძვეკასის სანამესტნიკოს დასაცველად ქამის გავრცელებისაგან, საჭიროდ რაცეს გამოაცხადოს, რომ ყოველად უსაფუძვლოა ხმები, ვითომც ძვეკასის სანამესტნიკოში გამოჩენილიყო ქამი; იმის თაობაზე კამისას აქვს ნამდვილი ცნობები. თუ ვინცობაა, ძვეკასიაში სადმე გამოჩნდება ქამი, კამისია იმწამსვე გამოაცხადებს.“

ქამისის თავმჯდომარე მინკვიჩი.

* * * ს. პეტერბურგის „შუკებებში“ იწერებოდა, ჩვენ შევიტყუეთ, რომ ძვეკასის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოში არდგენენ პროექტს, რომლის ძალითაც ძვეკასიაშია უნდა იქმნეს შემოღებული ის „საყოველთაო სამხედრო გადასახადი“ რომელიც რუსეთში არის შემოღებული. ამ პროექტით ძვეკასის ყოველ 10,000 მცხოვრებელზე გამოყვანილი იქნება სამხედრო სამსახურისათვის თითო კაცი 20 წლისა, და ამნაირად უნდა შესდგეს ქვეყნის დროუჭინები და ცხენოსანი სოტნები. სამსახურის ვადა ორი წელიწადი იქნება. სამხედრო გარჯიშობა ისეთივე იქნება, როგორც რეგულიარულ ჯარში არის.

ეს ამბავი, ცოტა განსხვავებით, ამას წინათ „თფილისის მოამბეშია“ იცოდა მოყვანილი.

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ „თფილისის მოამბის“ დროებით რედაქტორად, თ. დ. შრისთვის მაგიერად, იქნება უფ. სტ. ბ. ზარაფოვი.

* * * ჩვენ მივიღეთ ახალციხიდან ერთი წერილი, რომელშიაც სწავთა... მოხარს გამოვირცხ:

„მუდამ კვირას იმართება აქ ქართული წარმოდგენები, და ისე კარგათა მისის საქმე, რომ ამ შემთხვევაში მანც, უეჭველია, თქვენ, ქალაქელებს გაჯობეთ.“

„ქაუტის სამხედრო კლუბში გააკეთეს პატარა, მაგრამ ლამაზი სცენა და კვირაში ერთხელ ქართული და რუსული წარმოდგენები გვაქვს ერთად. ხალხი მუდამ ბლომათ დაიარება.“

„შემოსავალი ამ წარმოდგენებისა ჯერჯერობით თვითონ სცენის სასარგებლოდ იყო; შემდეგში სხვა-და-სხვა ვითილი მიზნებისათვის იქნება დანიშნული.“

„მრთელ წარმოდგენებს „თილის-მასხანის“, მეორედ „პეპო“; სცენის მოყვარებმა ორივე ჯერ ჩინებულად ითამაშეს ასე, რომ საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა. ისეთი ნიჭიერი მოთამაშეები აღმოჩნდნენ ამ ჩვენს ახალციხეში, რომ სამწუხარო იქნება, თუ ამთ ნიჭს ასპარეზო არ ექმნა და დასმული შეიქნა.“

* * * ახალციხიდანვე გვეწერენ, რომ აქაურები მომავალ გაზაფხულს შიმითა და კრძალვით მოელიანო, რადგან დარწმუნებული არიანო, რომ ამ გაზაფხულზე, როდესაც თოვლი დადნება და გზები გაიხსნება, აჭარლები თავისებურ ცვლქობას, ავაზაკობას დაიწყებენო.

* * * სია საქმებისა, რომელიც უნდა განიხილოს ქალაქის რჩევამ ხვალ, 29 იანვარს:

- 1). სენატის უკაზი; რჩევის საჩივრის გამო, პოლიციის ჯამაგირზე.
- 2). წინადადება ლუბერნატორისა იმის თაობაზე, რომ პირუტყვი ისევ ქალაქში დაყლან.
- 3). 1877 წლის ანგარიში მამგებობისა უბრავესა).

რად მუშაობა, საკუთარი თავ-მოყვარეობის შეწირვა და ანგარების მიტოვება — ჩვენთვის გაუგებარი საქმე.

როგორ უნდა იქნება უმრავლესობა; თუ კი თითოეული ხმოვანთაგანი თავის ცოლის-ძმის ანუ ბიძაშვილს წამოაყენებს კანდიდატათ, მხოლოდ იმას ჩაუგდებს თეთრს და სხვებს კი გააშავებს? როგორ უნდა ამოიჩიონ ქალაქის თავი, თუ ერთმანერთში ვერ მოთავსდებიან, თუ ერთმანერთის აზრის შეწყყარება არ იქნება, თუ ყველა ჯიუტობით იმოქმედებს და იტყვის:

„—უნ ჩემი კანდიდატი და ან სულ არაიენ!“

ზანა ასე საზოგადო საქმის წაყვანა შეიძლება? ზანა ამნაირად კენჭის-ყრა მოხერხდება? ბეუბნებით, დღესაც თუ ასე წავიდა საქმე, ჩემი მგობრის სიტყვა გამართლდება და ბოლოს ისეთი კაცი წამოასკუბდება ქალაქის თავად, რომელიც, თავად კი არა, ფეხდაც უფარგისია. მაგრამ როგორიც იქნება, ახლა ძალი-

ან გვეჭირება ქალაქის თავი და საზოგადოთ ქალაქის მამგებობა.

ყველა მხრით იმის საჩივარი, რომ ქალაქი უპატრონოდ არის დარჩენილი. და ეს საჩივარი ახლად, ამისთანა გაჭირების დროს, ყველაზე უფრო მისაღებია მხედველობაში.


მართლაც, ძალიან ცუდი დროა ახლა ქალაქისათვის: გარედამ რომ შეხედოთ, შეგვიზღვრებათ იმის დანახვა და იტყვიან; „მართალი უთქვამს, ვინც სთქვაო, რომ თფილისი წმინდა აზიური ქალაქია!“ ძარგად წაიკითხეთ ეს სიტყვები: წმინდა აზიური ქალაქი და არა აზიური წმინდა ქალაქი. სისუფთავით თფილისი, მართალია, ვერაპოდეს ვერ დაიკვივნინა; მაგრამ ახლა კი ერთობ მომეტებულია. საცა არ გადასდგამ ფეხს. კოჭკამდინ, ზოგან მუხლებამდინ ტალახი; ყველგან ლაფი, ყველგან ტბები, ყველგან აგროვებული თოვლ-ტალახი, ყველგან აყროლებული ნიაღვარი. და ბოლოც რომ არ უჩანს ამას! ქალაქის მამგებობამ გამოაცხა-

და, ჩვენ იმდენი საშუალება არა გვაქვსო. რომ ქუჩები გაეწმინდოთ, გავიტანოთ ანდენი თოვლიო; ჩვენ მართა მედნებსა და ხიდებს გაეწმინდავთო; ქუჩები, სახურავები და ტროტუარები კი სახლის პატრონებმა უნდა გაასუფთავონო.

ამ განცხადების შემდეგ ერთ კვირაზე მეტი გავიდა ჯერ ერთს სახლი-პატრონსაც არ აუტარებელია ეს ქალაქის მამგებობის მოთხოვნილება, თითქო არც კი გაუგონიათო. და არც მასრულებენ; იქნება ვერც მასრულონ.

მაშ ჩვენი ქალაქი უჩანსკენილი ოკრსამ კვირას ამისთანა მდგომარეობაში უნდა დარჩეს.

ახლა კიდევ სხვა როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, ისე ჩვენს ქალაქშიაც ამ ქამად საშინლად გავრცელებულია ყელის-ტკივილი, ციებ-ცხელება და სხვა ათას ნაირი ავთამყოფობა. მკიმები გაუაციცებით დაარბენინებენ თავის ერთ ცხენიან ფაეტონებს და ვერ აუდიან.



- 4) მოხსენება ზამგეობისა ფაიტანგების ტაქციის შეცვლაზედ,
- 5) მოხსენება ზამგეობისა მიხაილოვის შოსეს შეკეთების იჯარაზედ.
- 6) მოხსენება ზამგეობისა პირუტყვის დაჭელის იჯარაზედ.

* ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ გაზეთში შემდეგი შენიშვნა, რომელიც გუშინ, 26 იანვარს მივიღეთ:

„თბილისის სასულიერო სემინარიაში ხვალ-ზეგ ახალი ეკონომის აღმორჩევის აპირებენ. ამ თანამდებობის მთხოვნელები ერთობ ბევრი არიან, მაგრამ კეთილ-სამიჯლიანი ძრიელ კოტანი მოიძიებინათ მათში.“

ხმა გამოვრდა, ვითომც სემინარიის რექტორს და სხვა ზოგიერთ გავლენიან პირებს უფ. ს. შ — თვის სურდეთ ამ თანამდებობის მიცემა. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, ძრიელ სამწუხარო იქნება, რადგან უფ. ს. შ — ვეს ყველა სომხურ ინტერესების მიმღევი კაცთ იცნობს და მამასაღამე მისგან თავის ჯიბის გატენის მეტს სხვას არასდროს არ უნდა გამოველორდებოდეთ. თვით სემინარიელებსაც, როგორც შევიტყუეთ, თურმე საშინლათ არ მოსწონთ ეს უფალი.“

სასურველია, რომ ამ თანამდებობაზე დანიშნულ იქმნეს კაცი პატიოსანი, უანგარო და მოზარდი ყმაწვილების მოხიყვარულე, რომ ამ ნაირად მუდამ არ გვესმოდეს სემინარიელების საჩივარი, რომ დამპაღ თევზს გვაჭყევენ, ვაგხმარ პურსაო, ლობიოთი გვებერავენო და სხვ. და სხვ.“

„დროშის“ ამოკრახსონდენიცია

მობუღეთი, 12 იანვარს. აქაურმა საზოგადოებამ, (საზოგადოებას აქაურს შეადგენს ბათალიონის კამანდირი ჩერნომორსკი პოლკისა და მისი ოფიცრები, დამოჯნის ზასტავის უფროსი, უჩასტკის ნაჩალნიკი და სხვისი ჩინოვნიკები და

25-დის ვაჭრები ქართველნი, თუ ზერძნემა), ამ საზოგადოებამ მოიპატიჟა მსურვეთილამ მამა დეკანოზი სვიმონ შიქაძე წყალის საკურთხეველათ ნათლის-ღება დღეს. რასაკვირველია, დეკანოზი შიქაძე, ყოვლად-სამღვდელოის ნება-დართვით, მოვიდა ნათლის-ღების წინაღღეს ქ. მობუღეთში.

საზოგადოებამ გამართა მშვენიერი იორდანე მდინარე ატყუაზე, სადაც წყალი უნდა ეკურთხა დეკანოზ შიქაძეს.

ახლა თქვენ უნდა წარმოიდგინოთ ის პირველი ნახვა ამ ცერემონიის იქაურის მცხოვრებლებისაგან მსენი ვიც კი შეიტყო დიდა სიამოვნებით მოვიდნენ წყალის კურთხევაზედ საყურებლათ. მართმა იმათგანმა მუღლა პაიკაცო-შვილმა მითხრა, რომ ეს ამ ჩვენი ქვეყნისათვის პირველი შესანიშნავი და საისტორიო შემთხვევა არისო და, როგორც გამიგონიაო, მობუღეთში 80 წელიწადი იქნებაო, რომ წყალი არ კურთხეულაო. მაგრამ მე კი მცოდნე პირებისაგან შეტყობილი მაქვს, რომ აქ 1800-დამ ცხოვრებდა მთავრის ასული ზურიელის ქალი მღენე, რომელიც მაქსიმე თავდგირიძეს ჰყავდა ცოლად; მაგრამ მერმეთ მაჰმადიანობა მიეღო ამ თავდგირიძეს, რადგანაც ხონთქარმა ძალა დაატანა და ეს მთავრის ასული მღენე კი ქრისტიანი იყო სიკვდილამდის. მთავრის ასულს ეკვლესია ჰქონია ზეარაზე, მეთროსანს უწოდებენ დღესაც, მღვდელიც ყოლებია მანარობელ მუჯირი და ვინც კი დაიბადებოდა მობუღეთის მაზრაში იმ დროს, ყველას ანათლინებდა და კიდევაც მწირველათ ჰყავდა ამ ზემო მოხსენებულ მეთროსანის ეკვლესიაში. მხლა მეც ვიცი, 40 წელს ზევით რაც კაცია მობუღეთში ყველა მონათლული არიან, მაგრამ მერე ისევ გათათრებულან; როცა საზღვარი ჩოლოკის წყალზე იქი ნა და კარდონი გაჩნდა, იმათ ჩვენკენ არ უშვებდა მსმალოს მმართველობა

და ჩვენებს ამათკენ. ამის გამოც შეიტყვალა დრო: გამოიყვანეს ნაზარები (სადაც დათები). 1841 წლიდამ და მერმეთ თან-და-თან გამახმადიანდნენ.

მხლა ამ წყლის-კურთხევაში ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ამ აქაურ მახმადიან მცხოვრებლებზედ, რომ მეტი არ შეიძლება. თითქმის მთელი ქალაქის მობუღეთის მცხოვრებნი დაესწრნენ ამას და ესიამოვნათ კიდევაც, როგორც ეტყობოდათ. წესის ელსრულების დროს სწყყარე და სიმშვიდე სუფევდა, და გაათავდა თუ არა, ბათალიონი თავის რაზმით იღვა, აგრეთვე ყაზახის სოტნა და ჩვენი ქობულეთლების ზაპთიები მილიცია. ზარებმა თოფი გაისროლა. ჩვენმა მოძქეებმა თავისი მაჭახელოც დაცალეს. ქრისტიანებს ყველას წყალი ასხურა მღვდელმა და მერმე განგებისად ქობულეთლებსაც გადაასხა; იმათ პირმა გაუღიმა, თითქო უნდოდათ და არც უნდოდათ.

უნდა ვსთქვათ მართალი, რომ აქაურებისთანა ზარალი ამ ომიანობის დროს არც ერთ ხალხს არ მოსვლია. 500 კომლს მობუღეთში ახლა არც სახლი აქვს, არ კარი, არც საჭმელი და არც სხვა რამ, რაც ცხოვრებაში კაცისთვის მიუტყიდებელ საჭიროებას შეადგენს.

თუმცა, აქაური მთავრობის საშუალებით, 10,000, თუ მეტი ფუთი სიმინდი მისცეს, მაგრამ ამან რა უნდა უქნას ორი წლის მშვიერ ხალხს! იმედია, ბათუმის მაზრის მთავრობა იშუამდგომლებს უმალდეს მთავრობასთან, რომ ამ გაცირებულ ხალხს რაიმე შემწეობა მიეცეს.

ზემო-იხვაროი 16 იანვარს. წასრულ წელში ჩვენკენ კარგი მოსავალი იყო ღვინის, სიმიდის და პური კი ნაკლებ მოვიდა. წელს როგორი მოსავალი იქნება ჯერ არ შეიძლება სთქვას კაცმა,

ამას გარდა ზურგს უკან ჭირია, ქამი, — იმასაც დახედვარა უნდა, მომზადება გვეჭირება, რომ რიგიანი პასუხი გავცეთ, თუ გაუწყრა ღმერთი და გვესტუმრა ეს „დაუპატიებელი სტუმარი“.

და აი ამისთანა დროს ჩვენი ქალაქი უთავოდ რჩება, უპატრონოთ არის. ამოირჩიეთ, ვინც იქნება! მღონდ მალე კი ამოირჩიეთ, რომ ვიცოდეთ თავი გვეყავს ვინუგეზოთ მაინც არის, შეგვეძლოს მაინც არის მივმართოთ, უთხრაოთ, აუხსნათ, გავაგებინოთ ჩვენი გაჭირება. დააყენეთ თუნდა ბოძი, ოღონდ კი, ღვთის გულისათვის, დააყენეთ ვინმე პატრონი გვეჭირება, სახელით მაინცა, ან პატრონის წარმომადგენელი, აჩრდილიო...

ჩვენს გაზეთში იყო ამ დღეებში მოყვანილი ამბავი, რომ მთავრობა ნიშნავს გამოძიებას რიონის ატრიალის ინტენდანტზე უფ. ძორენევზე და ამ ატრიალისვე პოლრაიდჩიკზე უფ. ვ. მირზოევზედო. დღევანდელს „ძაქვაში“ დაბეჭდი-

ლია უფ. მირზოევის წიგნი, რომელშიაც ის იწერება, რომ ეს ამბავი ტყუილიაო, არავითარი გამოძიება არ არის დანიშნულიო; საქმე მხოლოდ იმაშიაო, რომ ჩემგან წარდგენილის ანგარიშით არ მისწორდება ინტენდანტსტეოგო, ფუფს მიჭრსო და კომისია მხოლოდ იმის შესატყაბლად ინიშნება — თუ როგორ დაეჭირავე მაშინ მე სამტრედიდამ მსურვეთამდინ, სამხედრო მასალების გადასატანად, ცხენები და ურმებიო. რაიცა შეეხება იმას, რომ ხაზინას რიონის ატრიალის ჩიგნა და შენახვა, გასულ ომიანობის დროს, ძვირად დაუჯდა, ამაში თვითონ ინტენდანტსტეოა დამნაშავე და არა მეო, მე რომ არა, მთელი ეს ატრიალი კინალამ შიმშილით ამოწყდაო და სხვ. და სხვ.

მართის სიტყვით, გამოდის, რომ ინტენდანტსტეო უფ. მირზოევის ამტყუენებს და უფ. მირზოევი კი პირიქით, ინტენდანტსტეოს. უფ. მირზოევი, ინტენდანტსტეოს ჰაზრით, ხაზინის მაზარა-

ლებელად გამოდის; ინტენდანტსტეო! უფ. მირზოევის ჰაზრით, მთელი ატრიალის კინალამ შიმშილით მომკვლელად და ხაზინის მაზარალებელადვე. უ. მირზოევი ამბობს, მე რო არა, მთელი ატრიალი შიმშილით ამოწყდებოდაო, რადგან ინტენდანტსტეომ თავის დროზე თადარიგი ვერ მოახდინა და ატრიალისთვის და ცხენებისთვის სურსათი არ მოამზადაო. ინტენდანტსტეო იძახის, ფუფები მივეციეთ უფ. მირზოევს, ყველაფერი უნდა მიეზიდნა, უნდა ყყიდნა, მაგრამ შიმშილით კინალამ მოკლა ატრიალი და ამისათვის ერთი-სამად უნდა წაიღოსო და სხვ. და სხვ.

ვინ არის ამაში დამნაშავე? ვინ სტყუის და ვინ არის მართალი? ჩემმა მეგობარმა ასე გადაწყვიტა ეს მორივე სტყუის და ორივე მართალია როცა თავის თავზე ამბობენ, სტყუიან; როცა ერთი მეორეზე ამბობს, მართალს ამბობს...



მაგრამ ზამთარი კარგი გვაქს და შეიძლება აქედან ითქვას, რომ მოსავალიც რიგგანა უნდა იქნეს.

ღვინო ჯერ-ჯერობით რიგგანად იყიდება, ჩაფი კარგი ღვინო 2-3 მან. და ზოგან 3-50 იყიდება; წაღება კი გამყიდველისა არის. სიმიდის ფასიჯერეთ არ თქულა.

ხალხის და საქონლის სწეულობა ისევე ისეა, როგორც წასრულ წელში იყო. შრავალი პირი, ნამეტურ ყმაწვილები იმსხვერპლა ყელის ტკივილმა, ზოგ ოჯახში ათ სულამდის მოკლა.

საქონლის ჭირმა უფრო გააჭირვა საქმე; არ იპოვება მისთანა სოფელი რომელშიდაც არ იყოს; მეტადრე საწყალმა ღვინის გამყიდველებმა (მემაშულეებმა) რალა ქნან, როდესაც ღვინოებს ვერაფრით ეზიდებიან ვაკაზლზე; ცხენებით გატანილი ღვინო არ მიიღეს ჩვენმა ქალაქელმა მეღვინეებმა და იმისთანა ცხენი ვერსად ვიშოვეთ, რომ კოლოტები აიკიდოს.

თუმც ამას წინეთ ომიანობის დროსაც იყო პირუტყვის სწეულობა, მაგრამ ასე არასოდეს არ ყოფილა. მაშინ ყველა ერიდებოდა, ესლა ცოტა ფულებაც შემოვიდა და ყველამ აღებ-მიციემობა დაიწყო. შემოიყვანეს სოფლად გასაყიდლათ ხარები, იაფათაც კი ყიდდნენ. რიგგანა ფასად არავინ დაფრიდა და ვისაც კი მოეძებებოდა უკანასკნელი კაპეიკი აძლიეს. თურმე ეს პირუტყვები იმისთანა სოფლებიდან მოყავდათ, სადაც ასობით იხრცებოდა ღლეში. დაიცილიდნენ თუ არა ზელს ეს მატყუარები, მაშინვე გაილაღებოდნენ. პირუტყვები იხრცებოდნენ, აქედან სხვებსაც გადაედვათ. აგრეთვე ზოგიერთი ყასბების წყალობითაც ბევრი სოფელი აოხრდა: ამითთან მიყავდათ ღამით სწეული საქონელი, ესენი მაშინვე ხრცავდნენ.

ამისთანა შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია შემწეობა ამოუჩინოს ხალხს,

მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს.

პირუტყვის ექიმები არ მოიპოვებინ ჩვენში, მაგრამ არც ისე უეჭიმოთ გაუშვივართ ჩვენ ბუნებას! სოფელს ზეალათუბანს (შორაპნის უეზდი) გამოჩნდა ერთი ექიმი გვარად საცერაძე, რომელმაც დადი სახელი დაიგდო ამ ქვეყანაში: ამას დაუვლია ხმა, რომ ვისაც მისი წამალი მიასწრებს ცოცხალს, ავადყოფი არ მოკვდება და ტანთელს არ გამოაჩნდება. თვითო სულ საქონელზე პირველად თვითო აბაზი იყო საექიმო და ეხლა კი მანეთად გაუხდია. ისე ესევა ხალხი, რომ წამლის ძლიერს ვეღარ აუღის. წამალი მისი შესდგება სხვა და სხვა მცენარებისაგან და ცოტა ნიორსაც ურევს.

წამლის ძალას თუ მკითხავთ, არ დაგიფრცავთ გეტყვი: იმდენი ღეთისწყალობა მე და თქვენ, რამდენი წამალღლეული ავთამყოფი დაიხრცა და კარგა მყოფიც გაყვა თან..

მოსიც რიგია, არ იქნება ცუდი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

დ.მკლის-უფლო

განსხვადებანი

კვირას, 4 თებერვალს, თბილისის კრუშოკში იმება

ბალი

იმ შპალოს სასარგებლოდ, რომელსაც ხსნის „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

შმასავლელი ფასი ძალევისა და კასევისათვის 2 მანეთი.

ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზე. ძალეებს შეუძლიანთ გულდახურულ კაბებით შევიდნენ.

ვისაც ჰსურს წინათვე აიღოს შესასვლე-

ლი ბილეთი, შეუძლიანთ მიმართოს მ. ბ. ბ. ბარათაშვილისას, კნ. ბ. მ. ანდრონიკაშვილისას და აგრეთვე „საზოგადოების“ გამგებელ კომიტეტის წევრთ, ბალის დღეს კი ძრუჟოკის შევიცარს.

(3-3)

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკიანის, მართანოვის, შრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. მოფურიძის ღუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის ღუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და მოსტავას ღუქანში.

შასი ორი შაური. მ. ც. ვგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რეა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

განსვიღვა

ფა. მოსკოველად

რადგან წვრილად ვაჭარმა მოვსპეთ და ერთად, ნარდათ ვაჭრობა დაიწყეთ, ამის გამო დანიშნულია ბა შიღვა იაფ ფასად მანეთზე 25 კაპეიკის დაკლებით სხვა და სხვა საქონლისა: კრეპი, არდაგანი, მატლასე, რეპსი, ჭაი, ყარსი, კრეასე, კაშმირი შაფი—75 კაპეიკად 2 მან. 30 კაპ. შაფი ალაპა—35-75 კაპეიკამდინ, მაუღის შალეები—3 მან. და 25 კაპ. 7 მან. 37 კაპეიკამდინ, ხვევრდის ხალიჩები, პერანგები ტილოსი და სხვ. და სხვ.

თამამშოვის შარვასლაში, ზემო ეტაში, ვასტინიცის, „ძავეკაზის“ პირდაპირ, № 10 და 11.

მაღაზია მალაკოვისა

რძ. ბზა.	ღილა.	ს.ლაპ.	II კ.	III კ.	ბელგრაჟი	მან.კაპ.	მაზანდა	მან.კაპ.	თფილისის სამაჟრანლო.
თფილისი..	9 21	5 18	მ.კაპ.	მ.კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 27 იანვარს.		მრევნს მედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა..	10 11	6 27	68	38	ძავეკისის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	170	ავთამყოფებს მიიღბენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი..	11 58	9 43	240	133	როსტოვს, მდენას, მოსკოვს	2	შქვილი წითელი	140	მ. რ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და ბარლევინი—შინაგ. ავთ., ძიუჩხარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ხაშური..	12 9	11 57	392	218	პეტერბურს, მარაშვას.	2	ბამბა შრევისა, ფთი.	750	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.
სურამი..	144		442	246	მსხმალეთშ, შვეიც. რაში.	3	— ამერიკისა, ფთი.	850	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშვი შინაგანი.
შვირილა..	549		581	323	იტალიაში და საფრანგეთში.	350	ბაპენტალი ბამბა ფთი.	10	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგ. ძიუჩხარიანცი—სიდილიტიკური და საზარდგ ორგანების.
რიონი..	657		675	375	ინგლისში	375	მატყელი თუშური ფთი.	660	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვი — შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.
სამტრედიო.	751		773	429	როსტა		— თარაქამისა ფთი.	450	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.
ახალ-სენაკი	843		857	476	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთარსს, რუსსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთარსიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ზურ.—გვთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუსური სტ.	210	
შოთი..	950		975	542	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		— მონი, ფთი	570	
შოთი..	9 3				ლია წოგნის	4	მონის სანთელი ფთი.	760	
ახალ-სენაკი	10 14		118	6	დ. ბეტილილის (ხამი მისხალი)	8	სტეარინის სანთელი, ფთ.	1280	
სამტრედიო	11 5		2 6	114			ხორცი ძროხისა, ლიტ.	99	
რიონი..	12 13		3	169			— ცხერისა, ლიტრა	1 8	
შვირილა..	1 18	ლაშე.	3 9	2 21			— სპირტი ედრო	4 60	
სურამი..	5 12		110	5 33			შაქარი, ბროც. ფთი.	7 60	
ხაშური..	5 39		1 37	5 84			— ფხენილი ფთი.	5 60	
ზორი..	7 5		4 87	36 4 9			— შავა გრვავლი, გირვ.	— 70	
მცხეთა..	8 50		6 59	9 8 5 4			ზეთი ქუნჯუთისა ფთი	12 80	
თფილისი..	9 31		7 56	9 75 5 42			თამბაქო, საშუალო ფთ.	6 80	